სამაგისტრო ნაშრომების დაცვის წესი

- სამაგისტრო ნაშრომების დაცვა ჩატარდება Zoom-ის საშუალებით (წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, რომელიც განისაზღვრება დეკანის ბრძანებით);
- ბრძანება განთავსდება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე, ასევე კათედრები აღნიშნულ ინფორმაციას აცნობებენ მაგისტრანტებს;
- zoom-ში ჩართვა განხორციელდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად შედგენილი კომისიის თავმჯდომარის ID მისამართით და პაროლით, რომელიც წინასწარ ეცნობებათ მაგისტრანტებს;
- მაგისტრები სამაგისტრო ნაშრომების მატერიალურ ვერსიას (შემოწმებული პლაგიატზე), შესაბამისი რეცენზიებით, წარადგენს კათედრაზე. კათედრა აღნიშნულ მასალებს გადააბარებს კომისიის მდივანს;
- სამაგისტრო ნაშრომებისა და რეცენზენტების ელ. ვერსიების თავმოყრის ორგანიზებას განახორციელებს შესაბამისი კათედრა, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას გადააგზავნის კომისიის მდივანთან;
- მაგისტრანტს ევალება CD-ზე ჩაწერილი წარმოადგინოს როგორც სამაგისტრო ნაშრომი, ასევე რეცენზიებისა და ხელმძღვანელის დასკვნის სკანირებული ვერსიები;
- კომისიის მდივანი მაგისტრანტების მიერ წარმოდგენილი მასალის ელ. ვერსიას (სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე) გადაუგზავნის კომისიის წევრებს;
- სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის დრო განსაზღვრული იქნება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისა და მაგისტრისთვის. მაგისტრანტს უფლება აქვს დაესწროს სამაგისტრო ნაშრომების დაცვას.